სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/382

ქ. თბილისი

27 დეკემბერი 2018

ემერიტუსის აკადემიური წოდების მქონე კანდიდატისათვის
სარგოს რაოდენობის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 27 დეკემბრის 2018 წლის №01-05-02/28 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. სტუ-ის ემერიტუსის აკადემიური წოდების მქონე ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორ შალვა ლობჟანიძეს სარგოს რაოდენობა განესაზღვროს 60%-ით;
2. ეთხოვოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი) მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცება;
3. საკითხის წარდგენა წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სხდომაზე ეთხოვოს სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანს, პროფ. ზ. წვერაიძეს;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე